საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ქეთევან უტიაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

თორნიკე ბაქრაძე - კოლეგიის წევრი

თეიმურაზ თოდრია - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ქ. ბ.

საჩივრის ავტორის წარმომადგენელი: დ. ბ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 24.02.2020

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 027/20

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ლ. ზ.-ის მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ლ. ზ.-ისთვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2020 წლის 24 თებერვალს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ქ. ბ.-ის წარმოდგენილმა დ. ბ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ლ. ზ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2017 წლის 26 ივლისს მასსა და ლ. ზ.-ის შორის სანოტარო წესის დაცვით გაფორმდა იურიდიული მომსახურების გაწევის თაობაზე ხელშეკრულება. ადვოკატი ქ. ბ.-ს უნდა დახმარებოდა მემკვიდრეობის მიღებაში. ლ. ზ.-მა ხელშეკრულების საფუძველზე ჰონორარის სახით მოითხოვა 1300 ლარი. ლ. ზ.-ის პირად ანგარიშზე

აღნიშნული თანხა შეთანხმებისამებრ ჩაურიცხა დ. ბ.-მ (განმცხადებლის მინდობილმა პირმა).

1.3 სამი წლის განმავლობაში დ. ბ.-ს ჰქონდა კონტაქტი ლ. ზ.-თან, რადგან თავად ქ. ბ. არ იმყოფებოდა საქართველოში. მათ ხშირად ჰქონდათ სატელეფონო კომუნიკაცია. ადვოკატი ეუბნებოდა, რომ ელოდებოდა საბუთებს და ჰპირდებოდა, რომ საქმეს მალე დაასრულებდა. ლ. ზ.-ს ყველა საჭირო საბუთი განმცხადებლის მხრიდან გადაცემული ჰქონდა. ბოლო პერიოდში ლ. ზ.-მა დ. ბ.-ს განუცხადა, რომ საქმეს ვერ ასრულებდა. განმცხადებელი საჩივრით ითხოვს საადვოკატო მომსახურების თანხის ნაწილს, რადგან ადვოკატმა საქმე ბოლომდე ვერ აწარმოა.

1.4 2020 წლის 01 ივლისის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა დ. ბ.-მ დამატებით განმარტა, რომ მას შემდეგ, რაც შეატყო, რომ ადვოკატი საქმეს ვერ აგვარებდა, თავად მივიდა არქივში და დაიწყო საბუთების მოძიება. შემდეგ მან თავის მიერ მოძიებული საბუთები გადასცა ადვოკატს.

2. ადვოკატ ლ. ზ.-ის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ლ. ზ.-მა 2020 წლის 04 მარტს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, სადაც აღნიშნავს, რომ არ ეთანხმება საჩივრის ავტორის მიერ გამოთქმულ პრეტენზიას. ადვოკატის განმარტებით, მხარეები ხელშეკრულების გაფორმებამდე შეთანხმდნენ, რომ დ. ბ. მას წარუდგენდა მამკვიდრებლის ხაზთან დაკავშირებულ სრულ დოკუმენტაციას, რაც დ. ბ.-მ ნამდვილად შეასრულა. მოსაძიებელი იყო პიროვნებათა დაბადების და გარდაცვალების ზუსტი თარიღები. ზოგი ინფორმაცია მოსაძიებელი იყო 1870 წლიდან, რაც რთული აღმოჩნდა.

2.2 ადვოკატი უთითებს, რომ მან დაიწყო საქმე, მემკვიდრეთა წრე იყო ფართე და შესაბამის ინფორმაციაზე დაყდრნობით, დაადგინა იურიდიული ფაქტები რამდენიმე პიროვნების შესახებ, ჯერ მიმართეს ნოტარიუსს, რომელმაც უარი განუცხადა სანოტარო მოქმედების შესრულებაზე, რის შემდეგაც მან ნოტარიუსის უარის საფუძველზე მიმართა სასამართლოს, თუმცა მოსამართლემ განჩინებით უარი განაცხადა საქმის წარმოებაში მიღებაზე, რადგან ვერ დგინდებოდა ნათესაური კავშირი იმ ორ შტოს შორის, რომელსაც მიყავდა უშუალოდ მამკვიდრებელთან. მან ეს ინფორმაცია მიაწოდა კლიენტს. მას შემდეგ, რაც დ. ბ.-მ კვლავ მოიძია გარკვეული ინფორმაცია, ადვოკატმა ლ. ზ.-მა გააგრძელა მუშაობა და დაბადების იურიდიული ფაქტების დადგენა. ბოლო ფაქტი დადგინდა 09.08.2019 წელს, რაც არ აღმოჩნდა საკმარისი ნათესაური კავშირის დასადგენად.

2.3 ადვოკატის განმარტებით, მასსა და დ. ბ.-ს შორის შედგა შეხვედრა, სადაც ადვოკატმა დეტალურად განუმარტა მუშაობის პროცესი და შედეგი, კლიენტისაგან პასუხი მიიღო, რომ ის კიდევ მოიძიებდა ინფორმაციას. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, მან ეს ვერ შეძლო და მუქარით მოითხოვა სრული თანხის ანაზღაურება.

2.4 ადვოკატის განმარტებით, მას განმცხადებლისთვის საქმის გაგრძელებაზე უარი არ უთქვამს და მზადაა დაასრულოს მის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე დაწყებული საქმე იმ დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც მისცემს საქმის დასრულების საშუალებას.

2.5 2020 წლის 22 ივლისის სხდომაზე ადვოკატმა დამატებით განმარტა, რომ ჰონორარის სახით დ. ბ.-ისაგან მიიღო 1300 ლარი, რაშიც ასევე შედიოდა დოკუმენტების მოძიების ხარჯებიც.

2.6 ადვოკატი განმარტავს, რომ დ. ბ.-სთან ჰქონდა როგორც სატელეფონო, ისე უშუალო კომუნიკაცია, რამდენჯერმე შეხვდა თავის ოფისში.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობის შემოწმება:

3.1 ადვოკატი ლ. ზ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №/ სპეციალიზაცია - საერთო სამართალი.

3.2 ქ. ბ.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2020 წლის 24 თებერვალს.

3.1. სადავო ქმედება ხორციელდებოდა 2017-2019 წლებში. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2)

4. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ადვოკატ ლ. ზ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონითა (მუხლი 32) და დებულებით (მუხლი 30.1) გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატ ლ. ზ.-ის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა მისი საქმის წარმოება ბოლომდე ვერ მიიყვანა; ადვოკატმა მისგან ჰონორარის სახით მიიღო 1300 ლარი, რომლის სანაცვლო მომსახურება არ გაუწევია.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ ლ. ზ.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

5.2.1 ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს, კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს კლიენტის წარმომადგენლობა და შეასრულოს პროფესიული ფუნქციები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5(ა), ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, შემდგომში „ეთიკის კოდექსი“, მუხლი 8.5).

5.2.2 კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან

რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, შემდგომში „ეთიკის კოდექსი", მუხლი 8.15).

5.3 „კვალიფიციურობა გულისხმობს ადვოკატის მიერ ცოდნის კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ გამოყენებას და კანონმდებლობის შესაბამისად წარმომადგენლობას" (ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2019 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N122/18).

5.4 „ადვოკატი იურიდიული მომსახურების გაწევისას დაწვრილებით უნდა ეცნობოდეს საქმის თითოეულ გარემოებას და აფასებდეს სავარაუდო საფრთხეებს, ვინაიდან შესაძლებელია აღნიშნულს არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს საქმის კლიენტის ინტერესებისათვის და სასამართლო საქმის შედეგისათვის. საქმის მომზადების მიზნით, ადვოკატის ვალდებულებაა დაცვის პოზიცია და წარმომადგენლობის ტაქტიკა შეათანხმოს კლიენტთან, კლიენტის ინტერსების უპირატესობის გათვალისწინებით" (ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2014 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება, საქმე N061/12).

5.5 „ადვოკატების მიერ კვალიფიციური იურიდიული მომსახურების ფარგლებში განხორციელებული თითოეული მოქმედება წარმოადგენს სამართლებრივი სტრატეგიის ნაწილს. ის დაკავშირებულია ადვოკატის თავისუფალი პროფესიის შედეგთან, რომელიც ეფუძნება მის პროფესიულ გამოცდილებას და კვალიფიკაციას. გაწეული იურიდიული მომსახურების სრულფასოვანი შეფასებისთვის საჭირო იქნებოდა ეთიკის კომისიის მიერ ადვოკატის მიერ საქმის წარმოების მიზნით განხორციელებული თითოეული მოქმედების ხარისხის შეფასება, რისი უფლებამოსილებაც ეთიკის კომისიას არ გააჩნია. ადვოკატის პროფესიის დამოუკიდებლობიდან გამომდინარე ეთიკის კომისიის კომპეტენციაში არ შედის ადვოკატის მიერ განხორციელებული საპროცესო ქმედებების და ტაქტიკის არსებითი სამართლებრივი შეფასება. კოლეგია ვერ მიუთითებს ადვოკატს რომელი საპროცესო მოქმედების განხორციელება იქნებოდა კლიენტის ინტერესებისთვის უკეთესი, როგორ შეიძლებოდა უკეთ დასაბუთებულიყო საპროცესო დოკუმენტი ან სამართლებრივი დასკვნა, და რა სავარაუდო გავლენას იქონიებდა აღნიშნული საქმის მიმდინარეობასა და შედეგზე" (ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2019 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე N083/18).

5.6 ქ. ბ.-სა და ადვოკატ ლ. ზ.-ს შორის საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება გაფორმებულია 2017 წლის 26 აპრილს. ადვოკატმა აიღო ვალდებულება ეწარმოებინა ქ. ბ.-ის სამოქალაქო საქმე აწ გარდაცვლილი გ. ჭ.-ის მემკვიდრეობის მიღებასთან დაკავშირებით. აღნიშნული ხელშეკრულებით ადვოკატმა ჰონორარის სახით მიიღო 1300 ლარი. მხარეთა შორის 2018 წლის 15 ოქტომბერს გაფორმდა მინდობილობა.

5.7 მხარეები თანხმდებიან, რომ საქმისთვის საჭირო დოკუმენტების ნაწილი ადვოკატს გადასცა კლიენტმა, დოკუმენტთა ნაწილი ადვოკატმა მოიპოვა თავად. ადვოკატმა საქმე აწარმოა ნოტარიუსთან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურში და სასამართლოში.

5.8 საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე, ადვოკატის მიერ გაწეულია შემდეგი სამუშაო: ადვოკატის მიმართვის საფუძველზე 2018 წლის 13 დეკემბრის N გადაწყვეტილებით სამოქალაქო რეესტრის სამსახურმა შეწყვიტა წარმოება ლ. ზ.-ის 2018 წლის 02 ნოემბრის განცხადებაზე; 2018 წლის 05 ნოემბრის N გადაწყვეტილებით სამოქალაქო რეესტრის სამსახურმა შეწყვიტა ადმინისტრაციული წარმოება ს. ჯ.-ს დაბადების იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენასთან დაკავშირებით; ადვოკატმა 2019 წლის 03 მაისს განცხადებით მიმართა საქართველოს ეროვნულ არქივს და მოითხოვა პიროვნებათა დაბადების შესახებ ცნობის მომზადება-გაცემა; ადვოკატმა 2019 წლის 30 ივლისს განცხადებით მიმართა საქართველოს ეროვნულ არქივს და მოითხოვა ქორწინების შესახებ ცნობის მომზადება-გაცემა; ადვოკატმა 2018 წლის 10 ოქტომბერს განცხადებით მიმართა საქართველოს ეროვნულ არქივს და მოითხოვა დაბადების შესახებ ცნობის დამზადება-გაცემა; ადვოკატმა 2017 წლის 14 დეკემბერს განცხადებით მიმართა საქართველოს ეროვნულ არქივს და მოითხოვა დაბადების შესახებ ცნობის დამზადება-გაცემა; ადვოკატმა 2017 წლის 29 ნოემბერს განცხადებით მიმართა ეროვნულ არქივს და მოითხოვა დაბადების შესახებ ცნობის მომზადება-გაცემა; ადვოკატმა 2019 წლის 27 მარტს განცხადებით მიმართა საქართველოს ეროვნულ არქივს და მოითხოვა დაბადების შესახებ ცნობის მომზადება-გაცემა. ადვოკატმა მონაწილეობა მიიღო სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის წარმოებაში არსებული 2018 წლის 02 ნოემბრის N განცხადების განხილვასთან დაკავშირებით გამართულ ზეპირ განხილვაში, რომელიც ეხებოდა ქ. ჯ.-ის დაბადების იურიდიული მნიშვნელობის მქონე მქონე ფატის დადგენას.

5.9 საქმეში წარმოდგენილია 2018 წლის 24 აპრილის N სანოტარო აქტი - სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის შესახებ დადგენილება, რომლითაც ქ. ბ.-ის წარმომადგენელს ადვოკატ ლ. ზ.-ს უარი ეთქვა აწ გარდაცვლილი გ. ჭ.-ის დანაშთ სამკვიდრო ქონებაზე - კანონისმიერი სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე სამკვიდრო მოწმობის მიღებისთვის წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არებული ხარვეზების აღმოფხვრამდე. ადვოკატმა სასამართლო წესით გაასაჩივრა სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის შესახებ დადგენილება, თუმცა კლიენტისათვის სასურველი შედეგი არ დადგა.

5.10 წარმოდგენილი საქმის მასალებით, კონკრეტულად საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებით დგინდება, რომ ადვოკატმა კლიენტისაგან ჰონორარის სახით მიიღო 1300 ლარი. არსებული დოკუმენტაციის ფონზე, ადვოკატმა საქმის წარმოება დაასრულა, მიუხედავად იმისა, რომ კლიენტისათვის სასურველი შედეგი არ დადგა. კოლეგიის შეფასებით, ადვოკატ ლ. ზ.-ს კლიენტისათვის გაწეული აქვს მიღებული საადვოკატო მომსახურების ჰონორარის სანაცვლო მომსახურება.

5.11 კოლეგიის შეფასებით, ადვოკატის მიერ განხორციელებული იურიდიული მოქმედებები მიზნად ისახავდა ქ. ბ.-ისათვის სასურველი შედეგის დადგომას. ადვოკატს კლიენტი ინფორმირებული ყავდა ყველა იმ საპროცესო მოქმედების შესახებ, რომელსაც მის სასარგებლოდ ახორციელებდა. შესაბამისად, საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ არ არსებობს ადვოკატის მიმართ, კანონის 5(ა) და ეთიკის კოდექსის 8.5 და 8.15 მუხლების შესაძლო დარღვევით დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5.12 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32–ე, 33–ე მუხლებით; დებულების 40.1 მუხლით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N027/20 ადვოკატ ლ. ზ.-ის მიმართ /სიითი N/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ქეთევან უტიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /თეიმურაზ თოდრია/